წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. პარასკევი, 9 ოქტომბერი 1915 წ. № 112

საქართველო

ხილის მოწერა და დასაბეჭდავი — [illegible] მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; იხახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакціи „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. ᲚᲝᲡᲐᲑᲔᲠᲘᲫᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ, მოსკოვის ქუჩაზე) ᲔᲦᲘᲠᲔᲑᲐ 5 მანეთი.

ᲕᲘᲠᲘᲜᲘᲡᲛᲘᲠᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲞᲔᲢᲘᲢᲘᲗ ᲦᲘᲠᲡ 15 კ., ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲖᲔ—10 კ. ᲓᲦᲔᲨᲘ 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ᲔᲦᲘᲠᲔᲑᲐ 5 მანეთი.

„საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ოქტომბერიდან წლის დამლევამდე ღირს 2 მ.—70 კ. მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი ზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ

აცხადებს გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია, რომ პირველ ოქტომბრიდან გაზეთი „საქართველო“ გადაეცა კანტორა „განათლებას“. თუ, რომელიმე აგენტს, რამდენი სჭირია ხსენებული გაზეთი, დაუყოვნებლივ აცნობოს კანტორა „განათლებას“.

„საქართველოს“ რედაქცია.

„ახალ კლუბის“ მამასახლისთა საბჭო

აცნობებს კლუბის წევრთ, რომ კლუბის სადგურში 11 ამ ოქტომბერს დღით 12 საათზე დანიშნულია

საზოგადო საგანგებო კრება

„ახალ კლუბის“ წევრთა. განსახილველია: 1) მიმდინარე საქმეები და 2) არჩევნები წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა.

ᲐᲮᲚᲐᲓ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝ

ᲤᲥᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲬᲧᲝᲒᲘ „ᲠᲐᲭᲐ“

ᲛᲘᲦᲔᲑᲐ მეპურეებზე და კერძო პირებზე ფქვილს ხელმისაწვდომ ფასებში. ჩერქეზიანოვის ქუჩა № 3. —13

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ 1915 ᲬᲚᲘᲡ 15 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ, გამოვა ახალი ყოველდღიური
ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐ�პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ“

ᲛᲐᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲘᲢᲐ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡ უახლოეს მონაწილეობით. გაზეთი ეღირება ᲬᲚᲘᲡᲐᲓᲦᲔᲨᲘ—8 მან; ᲗᲕᲔᲨᲘ—80 კ.; ცალკე ᲜᲝᲛᲔᲠᲘ 5 ᲙᲐ�პ. პირველ ოქტომბრიდან ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲐᲛᲓᲔ—2 მან. 50 კაპ. გაზეთს ყავს საკუთარი კორესპონდენტები ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ დაბა-ქალაქებში და რუსეთის სატახტო ქალაქებშიც.

მისამართი: ქუთაისი, ივანოვის ქუჩა. **ჭილაძის სახლი, „მეგობრის“ რედაქცია.**

რედაქტ.-გამომცემელი **დ. ი. შარაშენიძე.**

7—3

ᲓᲐᲬᲔᲠᲐᲡ ᲡᲐᲬᲔᲠ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲘᲡ ᲤᲐᲚᲐᲒᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲔᲠ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲖᲔ
ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐᲡ
ᲓᲦᲔᲛᲘᲡᲐᲬᲧᲝᲛᲘ ᲤᲐᲡᲔᲑᲨᲘ ᲰᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑᲡ
Მ. ᲒᲚᲐᲗᲣᲐᲡ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ
ᲕᲔᲠᲘᲡ Დ. ᲜᲝᲛᲔᲠᲘ № 1
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ 17—05

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡᲐ
ᲛᲝᲡᲔ ᲐᲜᲢᲘᲛᲝᲡᲘᲡ ᲫᲔ
ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ
უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და **ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—6 საათ, ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ᲙᲐᲑᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ
ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
(ᲮᲝᲚᲓᲜᲔᲕᲘᲡᲐᲛ)
ᲐᲮᲚᲐ ავადმყოფების მიღება დილის 8 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ
ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲐ
ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲨᲘᲜᲐ�გᲐᲜ და ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲘᲣᲚ ᲡᲜᲔᲣᲚᲔᲑᲘᲐᲜ ავადმყოფებს.
ᲐᲙᲐᲙᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ᲨᲔᲤᲘᲡ ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲗᲐᲜ

ᲔᲥᲘᲛᲘ
Გ. Მ. ᲛᲣᲮᲐᲫᲔ
ᲛᲘᲦᲔᲑᲐ **სადოსტაქრო** ავადმყოფთ საღამოს 5 საათ. მისამართი: ტატიანის ქუჩა, ᲝᲚᲦᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲐᲮᲚᲝ, სახლი 6. ზემო სართული. ტელეფონი № 3—92.

ᲒᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘᲡ ᲞᲠ. ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘ
ᲞᲠᲝᲤᲘᲖᲝᲠᲘᲡ ᲐᲮᲚᲔᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘᲡᲐ

ᲔᲥᲘᲛᲘ
Დ. ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲓᲘᲓᲘᲜᲐᲢᲝᲠᲘ ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘᲡ უნივერსიტეტის სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქუჩა № 36, მეორე სართული.

ᲥᲣᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝ ᲓᲐᲡᲐᲒᲔᲑᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲕᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑᲗ
ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲙᲔᲗᲝᲗ, ᲒᲐᲕᲬᲛᲘᲜᲓᲝᲗ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐᲗ ᲨᲔᲛᲓᲚᲔᲑᲝᲗ ᲡᲐᲫᲐᲚᲚᲔᲑᲝᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲕᲐᲭᲝᲗ
ᲥᲣᲓᲔᲑᲘ
ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲕᲬᲛᲔᲜᲓᲐᲕᲗ ᲡᲐᲕᲐᲭᲝᲗ
„ᲙᲝᲢᲔᲚᲝᲙᲔᲑᲡ“ ᲓᲐ „ᲪᲘᲚᲘᲜᲓᲠᲔᲑᲡ“.
ᲐᲑᲠᲔᲗᲕᲔ ᲕᲬᲛᲔᲜᲓᲐᲕᲗ ᲙᲚᲘᲣᲨᲡ, ᲮᲐᲕᲔᲠᲓᲡ, ᲓᲐ ᲕᲐᲥᲔᲜᲔᲑᲗ ᲒᲘᲜᲒᲚᲡ.
ᲕᲐᲮᲣᲜᲯᲣᲜᲔᲑᲗ ᲓᲐ ᲕᲬᲛᲔᲜᲓᲐᲕᲗ ᲡᲘᲠᲐᲪᲚᲔᲛᲐᲡ ᲤᲠᲗᲐᲡ ᲓᲐ ᲑᲝᲗᲐᲡ.
ქუდების სახელოსნო **დ. გ. გვახარიასი**
გოლოვინის პროსპ. № 39.

ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝ ᲥᲣᲓᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲐ

სახალხო უნივერსიტეტთან არსებული ქართული სექცია ამ თვის 12-დან ნაძალადევში (ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 100) მოზრდილთათვის ᲰᲡᲜᲘᲡ
ᲡᲙᲝᲚᲐᲡ
სადაც საღამ საღამოობით იქნება სწავლა. მოკლე ხანში გაიხსნება. ᲓᲡᲣᲠᲕᲔᲚᲗᲗ შეუძლიანთ ეხლავე ჩაეწერონ იქვე საღამოს 6—7 საათამდე. (3—2)

ᲞᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

წვრილი კრედიტის ამხანაგობები, რომელთა რიცხვი საქართველოში თან და თან იზრდება, რაც დრო გადის მეტ ყურადღებას იპყრობს სწორედ იმათგან, ვის საშველად და ხელის შესაწყობადაც ისინი არიან შემოღებულნი. სოფლის გაჭირვებული მეურნე ნაღობით და პატივით მოეკიდა ამ ახალ საქმეს, რადგანაც მისთვის ცხადი და საგრძნობელია, ამ დაწესებულების პირდაპირი, პრაქტიკული შედეგი და სარგებლობა. სოფლის მეურნეთა სიმრავლე, რა იგემებს უტყუარ ნაყოფს, რომელიც მოაქვს საამხანაგო თანამშრომლობას, ხალისით და შეგნებით შეიგუებს კოოპერატიულ წესს წარმოებისას და მოხმარების სფეროში, და ამ რიგად შეიძლება ჩვენშიაც მკვიდრი ფესვები გაიდგას სამეურნეო ორგანიზაციის იმ ფორმამ, რომელსაც არა ერთი და ორი პატარა ხალხი თუ სახელმწიფო აუყვავებია ეკონომიურად.

არის ნიშნები რომ ჩვენს ხალხს შეუგნია ასეთი ორგანიზაციების მნიშვნელობა და ცდილობს კიდეცა მათ გაზრდას და შეერთებას. სამეგრელოსა და იმერეთში მომხდარ წვრილ კრედიტთა ამხანაგობის სამაზრო კრებებზე გამოითქვა ერთობილი სურვილი ამ ამხანაგობათა კავშირის დაარსებისა. ხოლო კახეთის წვრილ კრედიტის ამხანაგობებს ეს სურვილი საქმედ ექცათ. ამ დღეებში ცნობა ავიდა, რომ სათანადო მთავრობამ დაამტკიცა კახეთის წვრილ კრედიტის ამხანაგობათა კავშირიო. ეს ფრიად საყურადღებო ცნობა ხალისსა და ენერგიას გაუძლიერებს იმ ამხანაგობებს, რომლებიც საქართველოს სხვა კუთხეებში შეუკავშირებლად არიან გაბნეულნი. მზად არის ყველა ობიექტიური პირობა, რომ მოეწყოს ერთი სრულიად საქართველოს სამეურნეო ორგანიზაცია; ჯერ ᲐᲠᲘᲡ ობით ამ ტენდენციის განაღდება შეიძლება მთელ საქართველოში არსებულ წვრილ კრედიტის ამხანაგობათა კავშირის დაარსებით. ერთი ცენტრალი სამეურნეო ორგან. რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეთა, ამხანაგობათა ბუნებრივს ზრდაზე იქნება აღმოცენებული, დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ წარმატებას და საერთო იდეიურ თანაზიარობის განმტკიცებას. ეს დიდი ეროვნული მნიშვნელობა ერთ წუთითაც არ უნდა ავიწყდებოდეთ იმ პატივცემულ პირთ, რომლებიც სოფლებში უდგანან წვრილ კრედიტის ამხანაგობებთა მოძრაობას ჩვენში და გაძლიერებულის ენერგიითა და შრომით წარუძღვენ მათ მიერვე პირველად დანერგილ ძვირფასს საყვარელ საქმეს.

ᲝᲠᲘᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

დღევანდელ მომარ და არა-მებრძოლ სახელმწიფოების შინაურ და ურთი-ერთ შორის განწყობილების საერთო თვალის გადავლება მეტად საინტერესო სურათს წარმოადგენს.

დღეს უკვე საკმაო მასალა გვაქვს აწინდელი ომის ისტორიისა და თუ მომავალზე ვერას ვიტყვით, წარსულზე მაინც შეგვიძლია ვიმსჯელოთ.

დღეს შეგვიძლია უკვე გადაჭრით ვსთქვათ, რომ ომის ორი უსაშინელესი ხანა გამოვიარეთ. ეს გახლავთ დასავლეთ ფრონტზე გერმანელების შესევა, ბელგიის გადალახვა და საფრანგეთში შეჭოის ხანა, ვიდრე იქ ომი არ ნაკუჩდა და პოზიციური ხასიათი არ მიიღო. ამ ხანაში გამარჯვება ბედმა გერმანეთს არგუნა.

მეორე ხანა საშინელის ომისა რუსეთისაკენ დაიწყო გალიციაში შემოტევებით და ისიც ჯერ გერმანელების გამარჯვებით დამთავრდა.

როგორც დასავლეთის მხარეს ისე აქეთაც არ უნდა ველოდეთ ძლიერ შემოტევის გაგრძელებას.

აქ ეხლა ნიადაგი ჯერ კიდევ სველია, ჭაობიანი ადგილებია, ტბებით და ტყით მოფენილი და ძლიერი ჯარების შეხლა თითქმის შეუძლებელია. აქ შეიძლება ძლიერ შეტაკებანი მხოლოდ ზაფხულ და ზამთარ, როცა სასროლი იარაღის, მასალის და სანოვაგის გადატან-გადმოტანა და ჯარების ტრიალიც ადვილია. ეხლა კი დიდი ძალების დატრიალება თითქმის შეუძლებელია. ასე რომ თუ ომმა დიდ ხანს გასტანა და ასეთივე ტენდენცია გამოიჩინა, როგორც დღემდის, შეიძლება რუსეთის ჩრდილოეთის მხრით სერიოზული შემოტევა სრულებითაც არ იქნეს გაზაფხულამდე, ან ზაფხულამდე, რადგან უმთავრეს საომარ ასპარეზად ბალკანეთი გადაიქცა.

როგორც წინეთაც ვწერდით, ბალკანეთში დამარცხება შეთანხმებულ სახელმწიფოთა თითქმის ომის დასასრულს უდრის. ყოველ შემთხვევაში ეს დამარცხება დიდად დასცემს ინგლისს და სხვა მოკავშირეებს.

მხოლოდ ერთი ღა საფრანგეთი იქნება კიდევ გაუტეხელი. ალბად ეს მდგომარეობა აქვს გათვალისწინებული საფრანგეთის ზოგიერთ მართველ წრეების წარმომადგენლებს და მეტად შიშით და ფრთხილად ჰგზავნიან ბალკანეთში ახალ დესანტს, ზოგნი კი სრულიადაც ასეთის დესანტის წინააღმდეგიც იყვნენ.

თუ კი ომმა შეთანხმების სახელმწიფოთა სასარგებლოდ იბრუნა პირი და გერმანეთ-ავსტრო-უნგრეთი და ოსმალეთ-ბულგარები დამარცხდენ ბალკანეთში, ომის ბოლო კიდევ მაინც შორს იქნება.

დღეს უკვე პრესის მიერ აღიარებულია, რომ გერმანელებს არც ხალხში, არც სასმელ-საჭმელში, არც იარაღში, არც მაინც და მაინც ფულში დიდი ნაკლებობა არ ეტყობათ. ის საოცნებო სენსაციური ამბები, რასაც ვკითხულობდით ომის დაწყების პირველ ხანებში, რომ გერმანია ჯარების უქონლობით, შიმშილის გამო და იარაღის უქონლობით დამარცხდებაო, მხოლოდ საგაზეთო სენსაციური ამბები გამოდგა.

ეხლა უკვე დაფარული აღარავისთვის არ არის, რომ ასე საოცრად მომზადებულ სახელმწიფოს მთელი თავისი მცხოვრებლების მერვედიც კი შეუძლია გამოიყვანოს ბრძოლის ველზე და თუ მეტად გაუჭირდა, კიდევ მეტსაც გამოიყვანს.

ბულგარეთი 4 მილიონს არ აღემატება. შეთანხმების სახელმწიფოთა ცნობებით 500,000 კარგად მომზადებული ჯარი ჰყავს. ეს იმ ბულგარეთს, რომელმაც ორი საშინელი ომი გადაიტანა (ოსმალეთთან და სერბებთან) ამ უკანასკნელ ხანში, აი რა მალე მოემზადა ეს ჭიანა სახელმწიფო! ამანაც კი შესძლო 500,000 კაცი გამოეყვანა საბრძოლველად! რასაკვირველია, გერმანია, რომელიც 40 წელს ემზადებოდა მსოფლიო ომისათვის არა თუ მერვედს მთელი მცხოვრებისას ქუდზე კაცსაც კი მოამზადებდა. და მართლაც როგორც სწერდნენ შეთანხმების სახელმწიფოთა გაზეთებში იგი 12 მილიონ ჯარს მაინც გამოიყვანდა; ასევეა ავსტრო-უნგრეთში, აგრედვე ოსმალეთში, მაშასადამე ჯარის სიმცირის შიში გვიანობამდე არ ეტანებათ. ხოლო შეთანხმების სახელმწიფოთა შორის ჯარის დაუშრეტელი სიმრავლე ერთადერთ რუსეთში ვხედავთ.

ინგლისს და საფრანგეთს მეტად უჭირთ ჯარების რიცხვის გადიდება და ახალ ახალი ჯარების მოკრეფა, რადგანაც ინგლისში არსებული კანონმდებლობით საყოველთაო სამხედრო ვალდებულობა არ არსებობდა და მხოლოდ დაქირავებული ჯარები ჰყავდათ და ჰყავთ.

თუ მივიღებთ აგრედვე მხედველობაში საფრანგეთის სამინისტროში ჩამოვარდნილ განხეთქილებას ბალკანეთის დესანტის შესახებ და იტალიაში ჯერ

ლიტის პარტიის გამოცოცხლებას, აგრედვე საბერძნეთის პოზიციას, რომლითაც ის ბულგარეთს და ავსტრო-უნგრეთ-გერმანელებს უმართავს ხელს, და აგრეთვე რუმინეთის სიმპატიებს და თავის ტერიტორიაზე გატარებას ბულგარელების და მისი მოკავშირეებისას უნდა მივიდეთ იმ დასკვნამდე რომ გერმანეთს ნიადაგი ჯერ კიდევ მტკიცე აქვს. ასე რომ ომის მესამე პერიოდისთვისაც საქმე კარგად მოუწყვია. ეს იმას გვიკარნახებს, რომ გერმანელების დამარცხების მოლოდინი კიდევ გაგრძელდება და ომის მალე გათავებაზე ოცნებობ... კი შეუძლებელად მიგვაჩნია.

გი—გო.

ომის ამბები

ქურნალ-გაზეთებიდან

ოსმალთა ჯარის ორგანიზატორი

ოსმალთა ჯარის ორგანიზატორი ფონ-დერ-ჰოლც-ფაშა ფერდინანდმა ბულგარეთის ჯარში მიიწვია, აღუთქვა გენერლის ხარისხი და დივიზიის უფროსობა.

———

როგორც ამბობენ ბულგარეთი მეტ წილად იმ იარაღით იბრძვის, რომელიც რუსეთმა მისცა. მხოლოდ პატრონები აღარ ჰქონიათ და ავსტრეთის ქარხნისთვის შეუკვეთნიათ.

———

ვარშავაში სასამართლო სესიას მუშაობა დაუწყვია, საქმეები პოლონუ.ს ენაზედ ირჩევა.

———

სერბებს ბელგრადის და მდინარე სტრუმიცის რაიონი მიუტოვებიათ და თავიანთ თავდაცვის ხაზზე გადასულან.

———

იტალეთის მაღალ ავტორიტეტიან წრეებში დაბეჯითებით ამბობენ, ევროპის ყველა ფრონტზე ზამთრის განმავლობაში სიწყნარე ჩამოვარდება, გარდა ბალკანეთის ფრონტისა, სადაც ზამთარი მოქმედებას ხელს არ უშლისო. რომ აქ გერმანეთი ეცდება გაიმარჯვოს, რადგან ბალკანეთში გამარჯვებასა და დამარცხებაზეა ყველაფერი დამოკიდებულიო.

სალონიკში მოკავშირეთა ჯარი მშვიდობით გადასხდა თუმცა მოლოდინი ჰქონდა გერმანელების წყალქვეშებისა, მაგრამ არ გამოჩენილა.

———

საბერძნეთი რომ ამ ჟამად ომში ჩაერიოს, ისეთივე დღე დაადგება, როგორც სერბეთს.

გენერალ ჟაკოვს მოწოდება გამოუცია სადაც ჯარს მოაგონებს, რომ მათ კისერზეა სამშობლოს ბედი და უბედობაო და მოწოდებას ასე ათავებს: ბულგარეთის ლაშქარმა და ბულგარეთის ხალხმა გარდაიტანა ბედნიერებაც, გამარჯვებაც. ბულგარეთის ლაშქარი ყოველგვარ დაბრკოლებას გაუძლებსო.

———

ბულგარეთის სამხედრო მინისტრს განუცხადებია: ლაპარაკის დრო წავიდა, დადგა დრო და ეხლა იარაღი უნდა ამეტყველდესო.

———

ფერდინანდს განუცხადებია საფრანგეთის ელჩისთვის: კეთილის გულით ვურჩევ საფრანგეთს, გერმანეთს შეურიგდეს, რადგან საფრანგეთის გადარჩენა მოჰყვება ამასაო. ფერდინანდი ასეთ „კეთილს“ სურვილს მაშინ უცხადებდა, როცა იგი სერბეთის წინააღმდეგ ხმალს იღებდა.

რუმინეთის მეფის ხსოვნა.

რუმინეთის მეფის კარლის სიკვდილის წლის თავზე სოფიაში პანაშვიდი გადაიხადეს ადგილობრივ რუმინულ ეკლესიაში. პანაშვიდს დაესწრო ბულგარეთის მეფე ფერდინანდი, ელეონორა, ბულგარეთის ტახტის მემკვიდრე ბორისი და მთავარი კირილე, მთავარსარდალი ჟეკოვი, ყველა მინისტრი და მოხელე. პანაშვიდის გათავების შემდეგ რუმინეთის ელჩმა მადლობა გადაუხადა ბულგარეთის პრემიერს რადოსლავოვს რუმინეთისადმი მიძღვნილ ყურადღებისათვის და იმედი გამოსთქვა, რომ ასეთი გარემოება უფრო განამტკიცებდა ნდობასა და მეგობრულ ურთიერთობას ბულგარეთისა და რუმინეთ შორის.

ბულგარეთ-სერბეთის უთ ...ითობა.

რუმინეთის ფრანგული გაზეთი „Independance Boumaine“ შეეხო ბულგარეთ-სერბეთის ომს და სთქვა: ჩვენ დავინახეთ ის ნაყოფი, რაც დიდი ხნის მომწიფებული იყო. შეცდომა იქნება ბულგარეთ-სერბეთის ომი მარტო რადოსლავოვს მივაწეროთ. ნამდვილად, ბულგარეთის ხალხის მეტი წილი მძულვარების მეტს არაფერს გრძნობს სერბეთისადმი. იგი აღვსილია მტრობით სერბებისადმი და შურისძიება სწყურიათო.

სერბეთი თავის საკუთარ ძ...ის ანაბარა.

გაზეთი „Independance Boumaine“ სწერს: თუ სახეში მივიღეთ შეთანხმების სახელმწიფოების გამოულეველი რესურსები ეჭვი არავის შეეპარება, რომ საბერძნეთში ისინი მილიონი ჯარის გადმოსხმას შესძლებენ. მაგრამ მაგარი ისაა, რომ ეს ოპერაცია ერთობ ბევრ დროს მოითხოვს და დროზე ვერ მიეშველება სერბეთს. ამიტომ დღეს ბრძოლის ველზე სერბეთი თითქმის თვის ძალის ანაბარაა და ამიტომ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული თუ სერბეთი რას შესძლებს და რას არა.

გერმანეთის სანაპირო სიმაგრენი.

ინგლისის ფლოტი მეთოდიურად ზარბაზანს უშენს და ანადგურებს გერმანეთის სიმაგრეებს, რომელიც ბელგეთის სანაპიროზეა აგებული.

იტალეთი არ ომობს გერმანეთთან.

იტალური გაზეთები ხაზგასმით ამბობენ, იტალეთს გერმანეთისთვის ომი არ გამოუცხადებია; მაგრამ მაინც, გაზეთების აზრით, იტალეთს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ალბანეთის დაწყნარებაში, ისე როგორც დარდანელის ოპერაციაში და თვით ბულგარეთშიც შეიჭრას, ვიდრე იქ გერმანები მოვიდოდნენ.

საბერძნეთი სერბეთს.

სერბეთში მყოფს საბერძნეთის ელჩს მისმა მთავრობამ დაავალა აუწყოს სერბეთის მთავრობას, რომ საბერძნეთი თავის-თავს მოვალედ არ სთვლის სერბეთს მიეშველოს. დადებული ხელშეკრულობის ძალით, რადგანაც ამ ხელშეკრულობის დაცვა სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა, უკეთუ სერბეთი ერთ-ერთ ბალკანეთის სახელმწიფოს შეებმოდა. ხოლო დღეს სერბეთს თავს დაესხა ავსტრეთი და გერმანეთიცო. ამიტომაც საბერძნეთს არ შეუძლია სერბეთს მიაშველოს ის 150 ათასი მეომარი, რომელიც, ხელშეკრულობის ძალით, მოვალე იყო ბრძოლის ველზე გამოეყვანა სერბეთის მაშველად.

ბულგარეთი საბერძნეთს.

ბულგარეთის პრემიერმა აცნობა საბერძნეთის ელჩს, მოკავშირეთა ჯარის გადმოსხმა კოვილასა და სალონიკში არ შეეფერება საბერძნეთის განცხადებას და თუ საბერძნეთი წინ არ გადაეღობა დესანტს, ბულგარეთი პასუხის მგებელი არ იქნება შედეგისაო. ამგვარივე განცხადება წარადგინა ათინაშიც ბულგარეთის ელჩმა.

უკანასკნელი ფოსტა

ბრძოლა რიგის რაიონში.

დრისვიტიდან მოყოლებული რიგამდე სასტიკი სროლაა. გერმანელები იერიშით მიდიან წინ. ავტორიტეტური წრეები ჰფიქრობენ, რომ მათ მიზნად უფრო ფართო მოხაზულობა აქვთ, ვიდრე რიგის დაჭერაო. დვინაზეც საარტილერიო ცეცხლი მძვინვარებს. გერმანელები სცდილობენ გზა გადასჭრან დვინისა და რიგის შუა. ეს ოპერაცია დღითი-დღე ვითარდება. გერმანელები აძლიერებენ ჯარებს.

სერბიის ახალი სატახტო ქალაქი.

როგორც ვიცით, ბელგრადიდან სატახტო ქალაქი ნიშში გადაიტანეს. ახლა ნიშიდან პრიშტანში გადაუტანიათ.

ბულგართა ლაშქრობა.

ბულგარებს ჯერ-ჯერობით პიოტომდინ მიუღწევიათ. ოსმალთა ჯარები ვარნაში მოდიან, ბუგესა და დედეაგაჩში. ფერდინანდი პოზიციებზე გამოსულა. ელიან საგენერალო ომს.

გერმანეთ-რუმინეთის შეთანხმება.

სალონიკში დაბეჯითებით ამბობენ, გერმანეთ-რუმინეთის შეთანხმება მოხდაო. რუმინეთი ნეიტრალიტეტს დაიცავს.

მოკავშირენი ბალკანეთში.

როგორც რომიდან იტყობინებიან, მოკავშირეთა ... ნიშ-სალონიკის ხაზი ...

დასავლეთის ფრონტი.

გერმანელებს, ფრენჩის სიტყვით, ...ენკ. დასავლეთი ფრონტი 48 ბათალიონით გაუძლიერებიათ. არიან გვარდიის დივიზიებიც. გერმანელთ ახლა თავის მხრით მიაქვთ იერიშები ფრანგებსა ... ინგლ.ელებზე.

აფეთქება პარიზში.

ტობიაკის ქუჩაზე სახელოსნოებში საშინელი აფეთქება მოხდა. აუარებელი მსხვერპლია. უბედურობის ადგილას ... ანკარე და მალავი მოვიდა.

———

ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა, აეკრძალოს რუსეთის ჯარის ყველ ხარისხის მეომარს ატაროს ბულგარეთის ორდენი თუ ჯილდო მამაცობისათვის.

———

კრეისერი „ჰამიდიე“ ყოველ-დღე შემოდის შავ ზღვაში.

———

მცირე აზიიდან და ბულგარეთიდან გემებს ქვანახშირი და ნავთი შემოაქვთ ბოსფორში.

ბოსფორში გამართეს დიდი მიბმული საჰაერო შარი შავი ზღვის ჰორიზონტის დასაზვერავად.

———

გერმანეთის ჰაეროპლანები ყოველ დღე დაფრინავენ ბოსფორის შესართავის თავზედ.

———

„გებენი“ დრო გამოშვებით გადის შავ ზღვაში, მეტ წილად სტენიაში იმყოფება, სადაც დგას სხვა სამხედრო გემები.

———

„ბრესლაუ“ თვეზე მეტია რაც მოსკოვში არ გამოჩენილა.

———

სტამბოლის ქუჩებში ჯარისკაცები არ მოსჩანან. ყველა ფრონტზეა გაგზავნილი. ქალაქში ჩამოყავთ ხანში შესული და სუსტებული გლეხები. 16—17 წლიანები სამხედრო ხელოვნებაში წვრთნიან გვარდიაში ჩასარიცხად. გვარდიას დაევალება სატახტო ქალაქის დაცვა-პატრონობა.

ქართველი ხალხის თანამედროვე მდგომარეობა*)

ას თოთხმეტმა წელმა განვლო, რაც საქართველოს სამეფო თავის ნებისაებრ რუსეთის იმპერიას შეუერთდა. ეს ხანი საკმარისია რომ შესაძლებელი იყოს ამ შეერთების შედეგების დაფასება.

ქართველი ხალხი ავანგარდობდა, გარემოების ძალით, იმ ქრისტიან ხალხებს, რომელთაც ისლამის მახვილი მოსვენებას არ აძლევდა. მძაფრი ისლამი ყოველის მხრიდან აწვებოდა საქართველოს მცირე რიცხვოვან ხალხს: ჩრდილო-სამხრეთით და დასავლეთ-აღმოსავლეთით. დაუსრულებელმა ომმა და მტერთა აღმველმა შემოსევამ თან და თან შეამცირეს რიცხვი ქართვლისა, შეასუსტეს მის ძლიერება და ჩამოაქვეითეს მისი კულტურული დონე. არსაიდან გამოუჩნდა მშველელი. მეზობლად გარს ერტყა ოსმალეთი, სპარსეთი, თათრების სახანოები და მთელი მაჰმადიანები. ირგვლივ რკალივით გარს შემოჭდოდა შეურიგებელი ისლამის ალყა. ასეთმა ვითარებამ ქართველი ხალხი გამოუთქმელ გასაჭირში ჩააგდო. ორში ერთი: ან უნდა შერიგებიყო გარშემორტყმულ მტერთა შორის ათქვეფას და ხელი აეღო ეროვნულ ხასიათის ძირითად არსებაზედ—ქრისტეს რჯულზედ, ან კიდევ მტკიცედ დასდგომოდა ეროვნულ სახის უცვლელად შენახვას და ეძებნა მოკავშირე, რომელიც ადრინდელ მფარველ ბიზანტიის იმპერიის მაგიერობას გაუწევდა. ...ართველომ არჩია ეს უკანასკნელი ...ა შეუდგა კიდეც მოკავშირედ სარწმუნოებითი მონათესავე ხალხის ძებნას. ამ ხრივ რუსის ხალხი და რუსეთის იმპერია ყველაზედ უფრო მოხდენილი იყო. საქართველომ გადაწყვიტა ებრძოლა ბოლომდე ეროვნულ თვითარსებობის განსამტკიცებლად. ეს გადაწყვეტილება მოითხოვდა დიდს ენერგიასა და ძალას; მოქანცული და ღონე მიხდილი საქართველო არ დაერიდა ამას. არ იყო ჩვეული სასოწარკვეთილებას მისცემოდა და სულ მდაბლად ფარ-ხმალი ძირს დაეყარა. იტვირთა ომის და ბრძოლის ახალი ტვირთი, რომელიც შეიძლება, ადრინდელზე უფრო ძლიერი გამომდგარიყო. რომ არ დაჰკარგოდა ეროვნული არსება, იგი ახალ მსხვერპლს არ დაერიდა.

რუსეთთან ხანგრძლივმა ურთიერთობამ დაარწმუნა ქართველი ხალხი, რომ რუსეთისაგან რეალი დახმარება და ძალა ისე არ მოუვიდოდა, უკეთუ საქართველო თავის სუვერენობას არ გამოეთხოვებოდა. საქართველო არც ამას და ზარდა. იგი ყაბულს გახდა რუსეთის იმპერიის ვასალად გადაქცეულიყო, ოღონდ ამ აქტით ეხსნა განსაცდელისაგან და დაეცვა საქართველოს ეროვნული ხასიათი.

მაგრამ საქართველო საუბედუროდ გაიკვანძა მრავალ არა-ხელსაყრელ გარემოებაში.

ყველა ამან დღე მოუსწრაფა საქართველოს ვასალურ დამოკიდებულებას

მაგრამ ეს მოვლენა საქმის არსებითი მხარეს არ სცვლიდა. და თავისუფლების მოყვარე ხალხი არ ამხედრდა რუსეთში სრული გათქვეფის წინააღმდეგ, ეს იმისთვის მოხდა, რომ იმედი ჰქონდა, ეროვნული შერყეული საძირკველი გამაგრდებოდა.

თვით რუსეთის ...ელმწიფოს წარმომადგენლებს თითქოს კარგად ესმოდათ ქართველი ხალხის გულის ზრახვა და მისწრაფება და თანაუგრძნობდენ კიდეც. სხვანაირად შეუძლებელი იყო ალექსანდრე I-ის ცნობილი მანიფესტის გაგება, სადაც პირდაპირ ნათქვამი იყო, რომ მხოლოდ საქართველოს კეთილდღეობის გულისათვის მივიღეთ იგი ჩვენს ქვეშევრდომადო. და რა უნდა ყოფილიყო ერის კეთილდღეობა, თუ არ დაცვა, ყოვლის უწინარეს, ეროვნული ინდივიდუალობისა?

ისტორიამ არ გაამართლა არც ქართველი ხალხის მოლოდინი და არც რუსის მთავრობის აღთქმანი. მართალია, სახელმწიფომ დაიცვა საქართველო ისლამის შემოსევისაგან, დაუსრულებელ ომიანობის დრომ გადიარა, დადგა თითქოს მშვიდობიანი, აღორძინებითი მუშაობის ხანა. მაგრამ ამან ოდნავადაც ვერ გაამდიდრა ქართველი ხალხის ეროვნული შინაარსი.

ვინც კარგად იყო გაცნობილი რუსეთის სახელმწიფოს შინაურ წყობილებასთან, რომელიც აგებული იყო ცენტრალიზმის პრინციპზე, მას ჯერ კიდევ 1801 წელში შეეძლო ეწინასწარმეტყველებინა სატირალი შედეგები რუსეთთან შეერთებისა. ამისდა მიუხედავად უმრავლესობისათვის ეს შედეგები სრულიად მოულოდნელი გამოდგა, იმდენად მოულოდნელი, რომ დიდხანს არც კი ვამჩნევდით, თუ არ გვინდოდა შეგვემჩნია, უტყუარი ფაქტები ამ შედეგების.

რუსეთთან შეერთებით საქართველოს ეროვნულმა მთლიანობამ პირველ ყოველისა დაჰკარგა პოლიტიკური ხასიათის სარჩული*). საქართველო დაჰყვეს გუბერნიებად. ამ გუბერნიების საურთიერთო კავშირი იმ კავშირზე მჭიდრო არ

*) მართალია, რუსეთთან შეერთებამდეც საქართველო არ წარმოადგენდა ერთ პოლიტიკურ მთელს. ამ გარემოებას, რა თქმა უნდა, შეჰქონდა შესამჩნევი დისონანსი ქართველთა ეროვნულ სოლიდარობაში. ხოლო მომდგარ ხიფათის წინაშე, ეროვნული მოლიანობის გრძნობა ხანდახან ისე ძლიერ იფეთქებდა, რომ ყველას ავიწყდებოდა შინაური აყალ-მაყალი და განხეთქილება. ის ფაქტი, რომ მთელი ქართველობა ირგვლივ გარემოცული იყო ურიცხვ მტრებით, ამახვილებდა ეროვნულ თვითშეგნებას პოლიტიკურ მხრივაც.

*) იხ. „საქართველო“ № 106.

ბულგარეთ-სერბეთის უთ...ითობა.

დასავლეთის ფრონტი.

აფეთქება პარიზში.

ბულგართა ლაშქრობა.

ბულგარეთი საბერძნეთს.

ბულგარეთი საბერძნეთს.

ბულგარეთ-რუმინეთის შეთანხმება.

მოკავშირენი ბალკანეთში.

ბულგარეთ-სერბეთის უთ...ითობა.

ბულგარეთ-სერბეთის უთ...ითობა.

**ბულგარეთ-სერბეთის უთ...ითობა

ინგლისის სამინისტროდან გავიდა მინისტრი კარნსონი. ცდილობენ ამ ფაქტს მნიშვნელობა გაუნელონ.

———

ინგლისური „ვესტმისტერი გაზეთი“ ეხება ამ უკანასკნელ სამი კვირის განმავლობაში ინგლისის საზოგადოებაში გამეფებულ მღელვარებასა და ნაღვლიანობას და ამბობს ასეთი სულიერი განწყობილება მოკლებულია ყოველგვარ სასურველსო.

უტაბის დეპეშები

პეტროგრადი, 7 ოქტ. ოფიციალი. მიტავის შარაგზაზე, ოლიას მიდამოებში, ბრძოლა გრძელდება. ამ შარაგზის აღმოსავლეთით ტყეებში, როგორც ბევრ სხვა ადგილას, მკაცრი ბრძოლაა. რუსთა „ილია მურომცებმა“ ფრიდრიხსჰოფში გაითარეშეს, მიტავის სამხრეთ-დასავლეთით, სადაც ათიოდე ყუმბარა ჩამოაგდეს. დვინსკის რაიონის ფრონტზე გერმანელებმა იერიში მოიტანეს, მაგრამ გედუმთან მოგერებული იქმნენ. ბოგონის ტბის ჩრდილოეთით გერმანელებმა იერიში მიიტანეს სოფ. მურმიშკზე, მაგრამ რუსის ცეცხლით მოგერებულ იქმნენ. სტირის მარცხენა ნაპირებზე რუსის ჯარები სდევნიან ავსტრიელებს. გუპინ აიღეს გულჩიცკი, ხოლო მათი კონტრ-იერიშებით მოგერებულ იქმნა საფალოვკას ქვემოდ, სტენზე. კვლავ აქ წამოიყვანეს ტყვეები და დავლად დარჩათ ტყვიისმფრქვეველები. დამატებით ცნობით გუშინდელ ტყვეებში ურევიან ადიუტანტი და 7 როტის კომანდერი. დავლაში ურევია 4 გაუბიცის ბატარეა აუარებელი ტყვიებით.

კავკასიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

თეატრის გარშემო

II

წინა წერილში ჩვენ დავინახეთ უმწეო მდგომარეობა ჩვენი თეატრისა, სრული სიობლე. დავინახეთ ისიც, თუ დრამატიულ საზოგადოების უმოქმედობამ როგორ დაღუპვის პირამდინ მიიყვანა იგი აღარ უდგანან ამ საქმეს სათავეში ნ. ქართველიშვილები, არ სჩანან მომქმედი და დაუღალავად მშრომელი ტარსაიძენი და ნიათი გამოეცალა ინიციატივობას. როგორც თითქმის ყოველ დარგში, აქაც სამწუხარო მდგომარეობა შეიქმნა. თავი იჩინა ქართველურმა დღეს-ხვალიობამ, ყოველთვის რიღასიც იმედი, არასოდეს რწმენა თავის-თავისადმი, არასოდეს საკუთარი შემოქმედება, არასოდეს ყოვლისფერის დამთრგუნველი ძალის შემოკრება, მხოლოდ იმედები, დაუსრულებელი იმედები, ვიღასიც, რიღასიც, იმედები სასწაულების შესაძლებლობაში. ქართველერს ბევრჯელ ცხვირში ძმარი ადენინა ამ გარემოებამ, მაგრამ სრულს გამოფხიზლებამდინ მაინც ვერ მისულა. ქართველ მსახიობთაც თუ არ სურთ სრულიად გარიყულნი დარჩნენ, უნდა დროებით საკუთარი ამხანაგობა გააჩინონ. სად წავა, რომ დრამატიულ საზოგადოებას უცადონ თუ მის გამგეთ როდის ამოუვათ სიბრძნის კბილი. მათ ჰმართებთ თუნდა რევოლიუციური ძალით მოითხოვონ ქალაქის თვითმართველობისაგან ზუბალაშვილის სახელობის სახალხო თეატრის შენობაში დაეთმოთ რამდენიმე დღე, ეს იმ თეატრის შენობაში, სადაც ყველა ეროვნების სექციას, მათ შორის ოსებს და მალაკნებსაც კი ადგილი დაუჭერიათ! ქართველ მსახიობთ აქ მეტი უფლება, მეტი უპირატესობა აქვთ ქართველ მოამაგის შენობაში დროებით მაინც თავშესაფარი იქონიონ.

მაგრამ ყველა ეს დროებითი იქნება, შეუძლებელია მუდამ ქველმოქმედების შემყურე იყოს ადამიანი. ქართველ საზოგადოებას სჭირია საკუთარი თეატრი, ქართველ სახიობას ჰსჭირია მკვიდრი ნიადაგი, არავის აწუხებდეს და თავის თავს თვითვე უძღვებოდეს. აქ პასუხი მრავალგვარი შეიძლება. გვიპასუხებენ, თეატრის [illegible]ებაა საჭიროო. ამის საწინააღმდეგო არა თუ არა გვაქვს რა, არამედ ის აუცილებლადაც მიგვაჩნია. საქმე ის არის, რომ თუ ფული და [illegible]ჯება როგორი თეატრი უნდა აშენდეს, რით ან სად. აქ კი ზოგად მოსაზრებიდან კონკრეტული პასუხი გვჭირია.

პირველ კითხვაზე, თუ როგორი თეატრია საჭირო ჩვენთვის, ეს მეტად საჭირბოროტო საკითხად მიმაჩნია. უნდა ვიცოდეთ, რომ ეხლა ევროპაში მხატვრულ თეატრის შენობათა გარდაქმნას დიდ ყურადღებას აქცევენ. წავიდა ის დრო, როდესაც თეატრის შენობა წარმოდგენილი ჰქონდათ ფართო, სამ-ოთხი იარუსით. ეხლა ყველა ეს ზედმეტად მიაჩნიათ. თანამედროვე ხელოვნების მიხედვით მთელი ყურადღება მიქცეულია სცენისაკენ. სცენა, აი თავი და ბოლო თეატრისა. საჭირო ვაგონეტკების მოწყობა დეკორაციების სწრაფ-საცვლელად, მოძრავი იატაკით,—აი რაზე უნდა იხარჯებოდეს ფული. დანარჩენი მეორეხარისხოვანი საკითხია. ფართო პარტერი, შესაფერი ამფითეატრი და ირგვლივ ლოჟები, თუ არ დაგიშლიათ ერთი იარუსითურთ,—აი ის ტეხნიკური მხარე, რაზეც მთავარი ყურადღება მიაქციეს სამხატვრო თეატრისთვის. რეზონანსისთვის მაღალი და მრავალ-იარუსიანი შენობა არც ისე რიგად სახარბიელოა და ხარჯს კი ზედმეტს მოითხოვს. ამის სანიმუშოდ შემიძლიან მივუთითო ბრიუსელში ახლად აგებულ თეატრ ალამრაზე, სადაც ახალი ძალები იღებენ მონაწილეობას და თვით m-me სარაბერნარი არ თაკილობს ბრიუსელში მობრძანებისას თავის საყვარელი „მარგარიტა გოტიე“ თუ „ჟან-დ'არკი“ წარმოადგინოს ხოლმე...

ზემოდ ვთქვი, საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ ქველმოქმედების ხასიათი უნდა მოისპოს, ხელოვნებამ თავის თავი უნდა ასაზრდოვოსო. რა თქმა უნდა, ჩვენს მდგომარეობაში მყოფ ქვეყანაში ბევრი არაფერი მოეთხოვება ხალხს. ხელოვნება იმდენად გამარჯვებული არ იქნება, მაგრამ გულს იმითი გავიმრთელებთ, რომ ამ ყოფაში მარტო ჩვენ არა ვართ და თვით განათლებული საფრანგეთი და ბელგია აუარებელ ფულსა ჰხარჯავს ხაზინიდან მის აღსაყვავებლად. კერძო თეატრებიდან შემიძლიან მივუთითო პარიზში სახელოვან ანტუანის თეატრზე. ვის არ გაუგონია მისი სახელი, ვინ არ იცის, რაოდენი ენერგია, რაოდენი ძალღონე არ დაჰხარჯა ამ ნოვატორმა, რომ სათეატრო ხელოვნება გაემარჯვებინა. უხვად ხელ გაშლილი, ქონების პატრონი საბოლოოდ გაღატაკდა და თეატრის საქმე მაინც ვერ მოაგვარა. რატომ? ეს სულ სხვა საკითხია: პარიზი ფუქსავატი, პარიზი კაფე-შანტანების მოტრფიალე, პარიზი სუბუქ ტალღების მიმყოლი, არ იცლის სერიოზულ პიესების მოსასმენად, ეს მას ჰღლის. აი, დაეცა ანტუანის თეატრი. ხელოვნების მოტრფიალეთა შორის აური-ზაური გაიმართა. ანტუანი თავს ანებებს თეატრსაო. ხელოვნების მინისტრმა ბევრი ვერაფერი დახმარება აღმოუჩინა. მაშინ პრესაში მიუთითეს ერთს საშუალებაზე, რომლის მოხსენება აუცილებლად მიმაჩნია: ანტუანის ტრუპამ რაც პიესები დასდგას, ლენტზე გადავღებინოთ სინემატოგრაფს და იგივე პიესა იმავე თეატრში კვირაში სამჯერ ვაჩვენოთ საზოგადოებას, რადგანაც სინემატოგრაფი გაცილებით მეტს ხალხს იზიდავს, ვიდრე სერიოზული პიესის დადგმაო. მართალიც არის. ეს რეცეპტი ჩვენც შეგვიძლიან გამოვიყენოთ. საკუთარ პიესების დადგმა („ღალატი“, „სამშობლო“) ახალ თეატრში შეგვიძლიან კვირაში სამი დღე სინემატოგრაფისთვის გადავდოთ, ამის გარდა დავიკვეთოთ პატეს მიერ გადაღებული კლასიკური პიესები „ოიდიპოსი“ შექსპირის, „რომეო და ჯიულიეტა“, „ანტეონიუს და კლეოპატრა“, ჰიკბოს „საბრალონი“, ზოლას „მაღაროში მომუშავენი“, რიშპონის პიესები, ჰარდტის დადგმული „პარ-გიუნტი“ და სხვა და სხვა. იმის გარდა, რომ საზოგადოებას აუარებელს მიიზიდავს ასეთი პიესების ციკლი, ჩვენ ჩვენს მსახიობთ საშუალებას მივცემთ გავაცნოთ არა თუ ამა თუ იმ ერის ცხოვრება, არამედ ამა თუ იმ გამოჩენილ მსახიობის ხელოვნება. ეს იქნება ერთგვარი აღზრდა როგორც საზოგადოებისა, ისე მსახიობთა კონტინგენტისა, რომელთაც საშუალება არა აქვთ იმგზავრონ და გაეცნონ სხვა ერთა ცხოვრებას და იქაურ სახიობას. ასეთი საშუალება ხელოვნებას არავითარ შეურაცხყოფას არ მიაყენებს, მოგებით კი იმას მოიგებს, რომ თეატრს წყაროს აღმოუჩენს საკუთარი ძალღონით იცხოვროს.

ასეთს თეატრს კიდევ სხვაფრივაც შეუძლიან შემოსავლის წყარო გაიჩინოს. საქმე ის არის, რომ ასეთი ტიპის თეატრი შეგვიძლიან გამოვიყენოთ საკონცერტო დარბაზადაც. იგი ყველაფრისათვის გამოსადეგისი იქნება. შეხედულობით ელინთა ძველის ძველ თეატრს დაემზგავსება და მეტს ხალხსაც მიიზიდავს, ვიდრე საოპერო თეატრის შენობა. საქმე მხოლოდ ის არის, სად აშენდეს და რით? ამაზე შემდეგ.

ქართველი.

ახალი ამბავი

◆ სურსათის საჭიროება თბილისში. რაც დღე გადის, პირველსაჭიროების სურსათს თანდათან ემატება ფასი. ასე პროგრესიულად თუ იმატა ფასებმა, რამდენიმე ხნის შემდეგ დიდი განსაცდელი ძოელის ხალხს. ამაზე მეტი უბედურება კიდევ ის არის, რომ ზოგიერთი საქონელი, მაგალითად, კვერცხი, კარტოფილი და სხვა, სრულებით არ მოიპოვება ბაზარში. საქონელს ყიდულობენ ადგილობრივ, როგორც მაგალითად, ჩრდილო-კავკასიაში და სხვაგან, მაგრამ საქონლის მოსატანად ვაგონებია საჭირო, და ვაგონები-კი არ იშოვება, ანუ ნაკლებად იშოვება. მუდამ დღე თბილისს სჭირდება 16 ვაგონი ფქვილი. ამ ჟამად-კი თბილისში ისე ცოტა ყოფილა ფქვილი, რომ ამ 2—3 დღეში თუ არ მოვიდა იგი რუსეთიდან, 4 დღის შემდეგ დიდს განსაცდელში ჩავარდება თბილისი. ქალაქის გამგეობას შეშა აქვს ნაყიდი პროვინციაში და კარტოფილი ჩრდილო-კავკასიაში, მაგრამ მოსატანად ვაგონები ვერ უშოვია. ყოველივე ამის გამო ქალაქის გამგეობამ დაავალა მოურავს ა. ი. ხატისოვს, რომ წარუდგეს მეფის ნაცვალს და საქმის ვითარება დაწვრილებით მოახსენოს, რათა შესაფერისი ღონისძიებანი თავისს დროზე იყვეს მიღებული.

◆ ხურდა ფულის აღმოჩენა. ბ-ნ შადინოვის ერბო-ყველის მაღაზიაში პუშკინის ქუჩაზე პოლიციას 150 მანეთის ხურდა ფული აღმოუჩენია, ხოლო იარმუკაში, ვიღაც ყასბის დუქანში, მთელი ყუთი ხურდა ფულით სავსე. ეს ხურდა პოლიციას ქალალდის ფულზე გამოუცვლია ხაზინაში და პატრონთათვის ჩაუბარებია, ამასთანავე შესაფერი ოქმიც შეუდგენია.

◆ კ. ბალმონტის საღამო. მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, საღამოს 8 ნახევარ საათზე, ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოება უმართავს საღამოს კ. ბალმონტს საარტისტო საზოგადოების დარბაზში. ბილეთები მსურველთ უნდა მოიკითხონ ჩვენს რედაქციაში გ. ჩხეიძესთან, ნაშუადღევის 12—3 საათამდე. შეიძლება ტელეფონითაც (17—00).

◆ წინადადებანი ჭირნახულის მოზიდვის შესახებ. ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობას განცხადებები მოსდის კერძო კაცთაგან, რომელნიც გამგეობას სთხოვენ, რომ ვაგონები გვიშოვეთო და მოზიდულ ჭირნახულს განსაზღვრულ ფასებში გავჰყიდითო. ასეთ განცხადებათა შორის ყურადღებას იპყრობს ქართლის მემამულეთა ამხანაგობის დირექტორის, თავ. ვ. ბაგრატიონ-დავითიშვილის წინადადება, რომლის შინაარსი ასეთია: საქველმოქმედო საზოგადოებამ უშოვოს ამხანაგობას 30 ვაგონი ჭირნახულის გადმოსაზიდად ჩრდილო კავკასიიდან. სამაგიეროდ ამხანაგობა მოზიდულ ჭირნახულს მიჰყიდის გორის მაზრაში მცხოვრებლებს იმ ფასებში, რა ფასებშიაც გაჰყიდის მაზრის კოოპერატივთა კავშირი; ხოლო გორის მაზრის გარეშე ამხანაგობა გაჰყიდის საქონელს იმ ანგარიშით, რომ ფუთ ფქვილზე მოიგოს 10 კაპ., ხორბალზე 8 კაპ. და სიმინდზე 6 კაპ.

◆ „ახალი კლუბის“ წევრთა საგანგებო კრება დანიშნულია 11 ამა თვეს, დილის 12 საათზე. კრება მოწვეულია 47 წევრის წერილობითი განცხადების თანახმად.

◆ კონდუქტორი ქალები. ამ დღეებში თბილისის ტრამვაის დირექციას კონდუქტორის თანამდებობა სთხოვა რამდენიმე ახალგაზდა ქალმა. დირექცია ამ თხოვნას თანაგრძნობით მოეკიდა, მაგრამ თანამდებობა მაინც არ მისცა მთხოვნელთ. დირექციას აზრად აქვს, ჯერ-ჯერობით პრინციპიალურად გადასწყვიტოს საკითხი, შესაძლებლად სცონბს თუ არა, ქალებს სამუშაო მისცეს ვაგონებზე.

◆ ახალი დადგენილება სასულიერო პირთა შესახებ. საქართველოს სასულიერო მთავრობის გადაწყვეტილებისა, სამხედრო ლაზარეთებსა და საერთოდ მომქმედ ჯარში თანამდებობა არ მიეცემათ შემდეგ პირებს: 1) რომელნიც ბლაღოჩინის თანამდებობაზე არიან დანიშნული, 2) იმ სამრევლოთა მღვდლებს, საცა მხოლოდ თითო მღვდელი მსახურებს, 3) რომელნიც გამოძიების ქვეშ იმყოფებიან, ანუ დანაშაულობის გამო სასჯელი მოუხდიათ, 4) ვისაც შესაფერისი სწავლა-აღზრდა არ მიუღია, მღვდელთმოქმედებაში გამოცდილი არ არიან და ქადაგების ნიჭს მოკლებული არიან და 5) რომელნიც კეთილსაიმედონი არ არიან.

◆ ხოლერა. 7 და 8 ოქტომბერს ქალაქის ლაზარეთში მიიყვანეს ხოლერიანი 1 და ხოლერის ნიშნებით 3 კაცი გარდაიცვალა ხოლერიანი 1 და ლაზარეთიდან გაეწერა 5 კაცი. გუშინ, 8 ოქტომბერს, ლაზარეთში იმყოფებოდნენ ხოლერიანი 94 და ხოლერის ნიშნებით 7 კაცი.

◆ გადამდები სენი. გუშინ, 8 ოქტომბერს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 74, სახადიანი 55, საოფლიანი 41, ხუნაგიანი 16, მუცელაიანი 4 და ყვავილიანი 2 კაცი.

შეცდომის გასწორება

გუშინდელ ნომერში მოთავსებულ წერილში, „კახეთის რკინის გზა“ დაბეჭდილია: მიწის გულში ხომ არ ვისხედით, რომ ასეთი ფხვიერი და უნიადაგო **კონგლომეტი** აღმოჩნდებოდაო, უნდა იყოს... **კონგლომერატი** აღმოჩნდებოდაო.

იქვე დაბეჭდილია: მაგრამ ადამიანის ხელოვნება და ნიჭი სწორედ იმაშია, რომ ჩვენების ნაკლულევანებანი შეავსოს... უნდა იყოს... ბუნების ნაკლულევანებანი შეავსოს და სხვ.

პროვინციის ქრონიკა

ქუთაისი.

ქუთაისის გუბერნატორმა კამერ-იუნკერმა პოტულოვმა ფოთის ქალაქის თავის მოადგილის ბ-ნი ტყემალაძის დამტკიცება ამ თანამდებობაზე შეუძლებლად იცნო და ამისთვის ფოთ ს ქალაქის გამგეობას წინადადება მისცა რომ ქალაქის თავის თანამდებობისათვის შესაფერი ადამიანი სხვა ქალაქში გამონახოს.

დაეცა სამღვდელოების ზნეობრივი და გონებრივი დონე. არც ერთ ქრისტიან ქვეყანაში სამღვდელოება არ არის ისე დასაწყლებული, როგორც ჩვენში, საქართველოში.

შეუძლებელია, ყველა ამას უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა ქართველ ხალხის რეალურ გრძნობაზედ. კვირაუქმე დღეებში ეკლესიები ცარიელია. და ამ ბოლო ხანებში თავის სულიერ მოძღვარს უყურებს როგორც უ[illegible]ალო მოხელეს, რომლის მთელი და[illegible]შნულებაა მეტრიკის წიგნის წარმოება და სხვა არაფერი. და ქართველიც ეკლესიაში იმიტომ მიდის, რომ ამ წიგნებში, საჭიროებისამებრ, ჩაეწეროს. სხვა დროს ეკლესია მას არ ესაჭიროება. ვინც თანამედროვე საქართველოს შეხედავს, ძნელად დაიჯერებს რომ ეს ქვეყანა ძველად დიდი მორწმუნე ქვეყანა იყო და რომ იგი, შეურყეველის სიმტკიცით იცავდა ქრისტეს რჯულს.

რაკი ქართველის შეგნებაში სარწმუნოებამ დაჰკარგა თვის ძალა, ცხადია მას არ შეუძლია ქართველი ხალხის დუღაბის დანიშნულება შეესრულებინა. რელიგიურ გრძნობის მოდუნება გადავიდა რელიგიურ ინდიფერენტიზმში, ხალხის შეგნებაში ქრისტიანობამ დაჰკარგა ეროვნული მნიშვნელობა, რადგანაც მან დაჰკარგა საზოგადოდ ყოველგვარი მნიშვნელობა. ხალხისთვის ეს დიდ უბედურებად უნდა ჩაითვალოს წმიდა უტილიტარული თვალსაზრისით, რადგანაც ერთობისა და გაერთიანების მაგიერ, თუნდაც მარტოკა რელიგიურ ნიადაგზე, აღმოცენდა გათიშულება და განცალკევება, რასაც კულტურის რეგრესი მოსდევს ხოლმე.

* * *

იმ მთავარი არტერიის დასუსტებას, რომელიც ჰკვებავდა ეროვნულ ერთობას, უნდა მოჰყოლოდა სხვა ეროვნულ-შემაერთებელ ძალების დაქსაქსვა და დაკნინება, დაეცა და დაკნინდა ჩვენი ხელოვნება, ჩვენი ლიტერატურა, ჩვენი ეროვნული სკოლა. თანამედროვე ქართული ლიტერატურა [illegible]ავებს შემოქმედებითი ძალების მისუსტებას. ჩვენ ყველანი ვსაზრდოობთ ქართული მწერლობისა და ხელოვნების ოქროს ხანის მოგონებით.

თანამედროვე ქართული ლიტერატურული ნაწარმოები თუ შინაარსის ორიგინალობის, თუ ფორმის ორიგინალობის მხრივ ნათლად მოწმობს ჩვენი ეროვნული შემოქმედების ძალის დაკნინებას. უხეირო მიმბაძობა და უნიჭო თაყვანისცემა უცხოთა, რაიც ბატონობს ჩვენში, დამცხრალი შემოქმედებითი სულის ერთად ერთი საფანელია. ქართველ მწერალთა მომეტებულ ნაწილს აერთებს უფრო უცხო მწერალთა იმ სანიმუშო ნაწარმოებთა თაყვანისცემა, რომელთაც ისინი ბაძვენ. ძალიან დასუსტებულია, თუ სულ გადავარდნილი არა, გრძნობა ეროვნული მწერლობის განვითარების მემკვიდრეობისა.

ბევრს ვლაპარაკობთ, რუსთაველზე, ხონელზე, ჩახრუხაძეზე ⁄ შავთელზე, მაგრამ არა გვაქვს ძალა და შეძლება, ხელის შემშლელ გარემოს გამო, განვაგრძოთ მათი საქმე, ⁄ თავს ვი[illegible]თობთ მეტერლინკის თუ ბალმონტის მიბაძვით, გაჯავრებით. ამ მოვლენის ახსნას რამოდენიმეთ უნდა ვეძებდეთ ხალხის ცხოვრებაზე ქართველ ინტელიგენციის დაშორებაში. ამაზე საუბარი ქვემოდ გვექნება. მწერლის შემოქმედება ასეთ შემთხვევაში, რასაკვირველია მოკლებული იქნება ეროვნულ მნიშვნელობას. ეროვნული, როგორც მწერლობაში, აგრეთვე კულტურის ყველა დანარჩენ დარგშიც თვით არსი რაღაცაა, რომელიც ძევს ხალხის შეგნების სიღრმეში და რომელსაც გარედ გამოაკრთობს ხოლმე ინდივიდური შემოქმედების სიძლიერე.

შოთა რუსთველის სული, რომელსაც ასე ეწაფვიან ჩვენი მწერლები, დიდი ხანია ეროვნულ [illegible]იმდიდრედ არის გადაქცეული და დღეს იგი განისვენებს ხალხის ცხოვრების ქვეცნობიერ სფეროში, და ვისაც სწადია ამ სულის გარედ გამოშუქება, ის უნდა მისწვდეს ხალხურ შეგნების ულრმეს საფუძველს. აი იქ ხალხის ცხოვრების სიღრმეში ჩაფლულია ჯადოსნური ძალა, რომელსაც შეუძლია მწერლის შემოქმედება აამუშაოს. მაგრამ თანამედროვე ინტელიგენტ ქართველს სად შეუძლია იოცნებოს, ხალხის ცხოვრების სიღრმეს მისწვდეს და ეზიაროს?

ჩვენი ლიტერატურული აღორძინება მომავალის საქმეა. დღესდღეობით კი სინამდვილეს თვალი უნდა გაუსწოროთ და ვაღიაროთ მისი დაკნინება.

ეროვნული ერთობის მთავარ ფაქტორების შესუსტებას, ცხადია, უნდა მოყოლოდა ხალხის ეროვნული შეგნების დასუსტებაც.

ამის გამო ეროვნულ სხეულს ჭახრაკები მოეშვა და ერს ემჩნევა ტენდენცია ცალ-ცალკე ინდივედუმად დახურდავდეს და დაიშალოს.

ს. დარიანი.

———

ბალმონტის ჩამოსვლა. სამშაბათს, 6 ოქტომბერს, დილის მატარებლით ქუთაისს ეწვია რუსის თანამედროვე გამოჩენილი პოეტი კონსტანტინე ბალმონტი. ქუთაისიდან ლიტერატორთა კომისია შეხვდა დ. ზესტაფონისა და რიონის სადგურზე. მთელი დღე მეგობრები მას ქუთაისის საუკეთესო ადგილების დასათვალიერებლად დაატარებდნენ. ამავე დღესვე მას ქალაქის თეატრში დანიშნული ჰქონდა „შოთა რუსთველის“ საღამო. მგოსანს განზრახვა აქვს ეწვიოს ქ. ფოთსა და ბათომსაც.

— ქუთაისის გუბერნიის საერობო და საგუბერნიო აგრონომებმა და ინსტრუქტორებმა დაადგინეს, გამართონ სხვა და სხვა სოფლებში საუბარი გლეხებთან სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებების შესახებ. რამდენიმე სოფლებში მათ ლექციები კიდეც წაიკითხეს, რითაც გლეხები კმაყოფილი დარჩენ.

— მეფის მოადგილის დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის ჩამოსვლის დღეთ დანიშნულია 7 ოქტომბერი. ქუთაისი შესახვედრათ დიდ სამზადისშია.

— ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა საღორიის აგარაკზე ქალაქის საავადმყოფოს გვერდით ააგოს გადამდებ სენიანთა საავადმყოფო 40 საწოლით. საავადმყოფოს ასაგებად ქალაქის გამგეობამ სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირისაგან მიიღო 17,000 მანეთი.

— როგორც გავიგეთ ქუთაისში შემდგარ დრუჟინას, რომელიც ამ ჟამად აჭარის მთებში იმყოფება, მოკლებია 20 კაცი და დაჭრილი ყოფილა აგრედვე რამდენიმე,

— „სინათლის“ სასწავლებელი ქუთაისში. ახლად დაარსებული სასწავლებლის საქმე კარგად მიდის. საზოგადოება ამ სასწავლებელს სიმპატიურად უყურებს. კერძო პირები შეწირულებასაც კი იღებენ და თავის შვილებს აბარებენ. 4 ოქტომბერს სინათლის საზოგადოებამ მიიწვია ქართველი ქალები. დაგზავნილი იყო სულ 200 ბარათ. კრებას დაესწრო 50 ქალი. ამ კრებაზე აირჩიეს კომიტეტი რომელმაც დახმარება უნდა აღმოუჩინოს ხსენებულ სასწავლებელს როგორც საღამოების გამართვით, ისე წევრების შოვნით და კერძო შემოწირულებითაც. კომიტეტის თავჯდომარედ აირჩიეს ქ-ნი თ. აბაშიძისა.

— ქუთაისში ამ ჟამად გამოდის სამი ყოველდღიური გაზეთი: „მეგობარი“, „სამშობლო“ და „Кутаисскія Вѣсти“ პირველის ტირაჟია 1200, მეორესი 1300 და მესამესი კი 700. ერთი გაზეთის მკითხველი სხვა გაზეთებს ზიზღით უმზერს.

— ტყიბულის რაიონის მცხოვრებლებმა მაზრის უფროსთან შუამდგომლობა აღძრეს რომ მოუსავლობის გამო მათთვის დახმარება აღმოეჩინათ. მაზრის უფროსმა ცნობების შეკრება მიანდო ტყიბულის ბოქაულს ბ. ბიბიკოვს მაგრამ ბიბიკოვმა რაღაც ხრიკების გამო ისეთი ცნობები წარუდგინა ზ. მაზრის უფროსს რომ ვითომც ამ მხარეს დახმარება არ სჭიროდეს. გლეხები მაზრის უფროსს დახმარებას ხელახლად სთხოვენ.

— 5 ოქტომბერს ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდა ხმოსანთა კერძო თათბირი იმის გამოსამუშავებლად, თუ როგორ შეხვდენ დიდ მთავარს მეფის მოადგილეს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს.

მეფის მოადგილეს უნდა შეხვდეს ქალაქის მოურავი ქალაქის გამგეობის წევრები 10 ხმ[illegible] თავად-აზნაურობა, წარმომადგენელნი ვაჭრებისა, ბანკებისა, შავი ქვის საბჭოისა და სხვა, ქალაქის მოურავის ი. მ. ჩიქოვანის მეთაურობით. სადგურიდან მეფის მოადგილე გაემართება საკათედრო ტაძარში სადაც მიართმევენ პურ-მარილს. სიტყვას წარმოსთქვამს ქალაქის მოურავი და სხვები. მისი იმპერატორებითი უმაღლესობა გაივლის თბილისის, პუშკინის და ალექსანდრეს ქუჩებს.

სოფ. ლესის (გურია) უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს გამგეობის ერთ უკანასკნელ კრებაზე გადაწყდა: უკანასკნელად ერთხელ კიდევ ეთხოვოს ყველა იმ პირთ, რომელთაც გასულ წელში დაურიგდათ ზემოხსენებულ გამგეობისაგან მოწოდების ფურცლები, დაუყოვნებლივ დაუბრუნონ ასეთები სამკითხველოს გამგეობას. ვადა დაბრუნებისა ეძლევა ერთი თვე დღიდგან ამ ცნობის დასტამბვინც აღნიშნულ დროს განმავლობაში არ დააბრუნებს მოწოდების ფურცლებს—გამგეობა იძულებული იქნება, ყოველივე გაუგებრობის ასაცილებლად, გამოაცხადოს მათი სახელი და გვარი გაზეთებში. მოწოდების დაბრუნება შეიძლება შემდეგი ადრესით: სად. ჯუმათი. დიმიტრი დავითის ძე სარჯველაძეს სამკითხველოსთვის.

აჭარა

(დასასრული, იხ. „საქარ.“ № 111)

აჭარელი უაღრესად მაჰმადიანია. თუ ვისმეს ქართული შეჰრჩენია, ესეც ქალების წყალობით.

ქალები კარგად ლაპარაკობენ ქართულს ვიდრე მამაკაცები. ეს დედები თავიანთ შვილებს უპირველესად ქართულ ენაზედ ასწავლიან ლაპარაკს.

მეტად სასარგებლო იქნებოდა, რომ აქ იყვნენ ისეთი ხოჯები, რომელთაც დაუმთავრებიათ სწავლა სტამბოლში და მიუღიათ ცოდნა ისეთი, როგორიც არის იქ. ასეთი ხოჯები აქ ერთი თუ ორნი არიან, რომელნიც პატივისცემის და ყურადღების ღირსნი არიან. ისინი სულ სხვა შეხედულების არიან ცხოვრებაზედ. რაც შეეხება დანარჩენს, ესენი ადგილობრივ დიდი ხნის მეცადინეობის შემდეგ ღებულობენ ამ წოდებას. მათ თითქმის არაფერი გაეგებათ, ვერც თუ რამეში დააჯერებთ. სიტყვით დაგეთანხმებიან, მაგრამ, როდესაც დაგშორდებიან, სულ სხვაფრივ მოქმედობენ. ხშირი შემთხვევა არის, ავადმყოფი უწინ ხოჯას აკითხინებს და შემდეგ ექიმს დაუწყებს ძებნას.

12 წელზედ მეტია, რაც აქ საავადმყოფო არსებობს და კაცს ვერ ნახავთ, რომ მათთვის ან ექიმს, ან მათ თანაშემწეთ აეხსნათ მცხოვრებლებისთვის მნიშვნელობა ჯან-მრთელობისა, აეხსნათ ამა თუ იმ ავადმყოფობის ასაცილებლად რა ზომებია საჭირო, ან როგორ უნდა მოაწყონ თავიანთი ბინები, რომ მათ ჯანმრთელობა ჰიგიენის მხრით უზრუნველ იყოს.

უფრო დიდი დანაშაული ამ საქმეში მიუძღვის საოლქო ექიმს ბ. სოკოლოვსკის, რომელიც მარტოკა იმაზედ ფიქრობდა, რომ ქაღალდზედ ყოფილიყო დანიშნული, რომ იქ ექიმი არის და ის, ვინც, ან როგორიც უნდა ყოფილიყო სულ ერთი იყო მისთვის.

არც მისი თანაშემწე ბ. მირიმანოვი იწუხებდა თავს ამ საცოდავ ხალხისთვის.

ამდენი ხნის განმავლობაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ რამოდენიმე თვეს, როდესაც დროებით იყო ქართულის მცოდნე ექიმი ან მისი თანაშემწე, სულ სამსახურში ინიშნებოდენ ისეთი ექიმები, რომელთაც იმ ხალხის, რომელთა საექიმო დახმარების აღმოსაჩენად იგზავნებოდენ, არც ერთ ნათგანს არ შეეძლო მათ მშობლიურ ენაზედ ლაპარაკი. აქ გამოგზავნილ ექიმთა შორის იყო ისეთი ექიმიც, რომელსაც 30 წლის „აკციზნი ჩინოვნიკათ“ ყოფნის შემდეგ არგუნეს აჭარაში წაბრძანება და ს. ხულოს საავადმყოფოს ექიმად დანიშნეს. ჯერ 30 წ. წინად მედიცინა რა იყო, და მას უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ნავთიან და მაზუთიან ქვაბების შინჯვის მეტი არაფერი უკეთებია. ასეთ ადამიანს ან რაღა უნდა დარჩენოდა თავში ექიმობისა და ან როგორი დახმარება უნდა გაეწია იმ საწყალ ხალხისთვის?

მაგრამ აქ ადგილი „ნათლი-მამობას“ უფრო აქვს, ვიდრე ხალხის დახმარებაზედ ზრუნვას.

აკი ვთქვი, ქაღალდზედ იყოს დანიშნული, რომ ექიმი იმყოფება და იქ სულერთია ვინც იქნება, პენსია დამსახურებული მოხუცი აკციზნი ჩინოვნიკი თუ ნამდვილი მცოდნე ექიმი. იყო ისეთი შემთხვევები, ნიშნავდენ ასეთ ადგილებში ახლად კურს დამთავრებულ ექიმებს. ეს ისეთი დანაშაულობის ჩადენაა, რომელიც არას დროს არ ეპატიებათ გამწესებელთ. რა ექიმი არის ის, რომელიც კურსის დამთავრების შემდეგ თუ [illegible]ამოდენიმე ხანი კლინიკაში ან საავადმყოფოში არ იმუშავებს?

რაც შეეხება მათ პრაქტიკულ მხარეს, ისინი ძალიან სუსტნი არიან. სოფლად კი, როგორც თეორეტიულად, ისე პრაქტიკულად მომზადებული ექიმი უნდა იგზავნებოდეს, რადგან მას უხდება ისეთ პირობებში მუშაობა სადაც მაზედ მცოდნე პირი არ არის, რომ საჭიროების დროს მას შეეძლოს დაეკითხოს მაზედ უფრო მცოდნე და გამოცდილ ექიმს.

აი ასეთი პირები მსახურებდნენ ამ დავიწყებულ კუთხეში. მათ სრულებით არ აინტერესებდათ ის, რაც ამ ხალხისთვის იყო საჭირო, არამედ ოცდან ოცამდე ემსახურებინათ და ჯამაგირები მიეღოთ.

სწ[illegible]ედ ასეთ ადგილებში არის საჭი[illegible]ანებოდეს გამოცდილი ექიმები, რომელთაც მართლა გული შესტკივათ ამ ხალხზედ და ამავე დროს მოლაპარაკე მათ მშობლიურ ენაზედ და არა ისეთები, რომელთაც სამი კაცის დახმარებით შეუძლიათ გაიგონ რა სტკივა ავადმყოფს და ისიც დამახინჯებულად.

როდესაც აქ იქნება ისეთი ადამიანი რომელსაც მათთვის გული შესტკივა, ის მარტოკა ექიმი კი არ იქნება, არამედ მათი მასწავლებელიც, რომელსაც შეეძლება გააგებინოს და აუხსნას მათ ის, რაც მათი ჯანმრთელობისთვის და ცხოვრების უმჯობესი და საჭირო არის. ასეთი კაცი იქნება ის, ვინც მათ ელაპარაკება მშობლიურ ენაზედ, ეცოდინება მათი ზნე ჩვეულება, აუხსნის საბუთიანად ძველ ზნე-ჩვეულების უვარგისობას და ჩაუნერგავს სიყვარულს სწავლა განათლებისას.

ასეთ ადამიანებს შეუძლიანთ უფრო მეტი ნაყოფის მოტანა დღეობით, ვიდრე სხვებს წლობით, რომელთაც მათი არაფერი გაეგებათ და არც გული შესტკივათ მათზედ.

გ. კაჭახიძე.

რუსეთის ცხოვრება

ისევ სიძვირე. მინისტრთა საბჭოს ბოლო ხნის თათბირზე განხილულ იქმნა საკითხი შესახებ პირველ მოთხოვნილების სანოვაგის გაძვირებისა. საბჭომ მოიწონა შინაგან საქმეთა მინისტრის მოსაზრებანი სიძვირის წინააღმდეგ.

სახ. ს[illegible]. მოწვევის საკათხი. ერთერთ მინისტრს უთქვამს „რუს. სლ.“ კორესპონდენტისთვის, სახელმწიფო საათათბიროს მოწვევა არ მოხდება 20 ნოემბერზე ადრე, ვინაიდან ამ ხანად სათათბიროს არაფერი საქმე არ აქვს და არც საბიუჯეტო კომისია სცნობს საჭიროდ საჩქაროდ სათათბიროს მოწვევისასო.

დამხურდავებელი მარკათა გამოცემა საფოსტო შემოსავალისთვის მავნებელი გამოდგა, ვინაიდან ხსენებულ მარკებს ბევრი წერილებზე აკრავს.

ფინანსთა მინისტრ ბარკს წინადადება შეაქვს: გაუქმებულ იქმნას ახლად გამოშვებული დამხურდავებელი მარკები და მაგივრად შემოიღონ ბონები.

სახალხო უნივერსიტეტის ქართული სექცია.

სახალხო უნივერსიტეტთან არსებულ ქართულ სექციის კრებამ დაადგინა: 1) საღამოობით სწავლის მოსაწყობად მოზრდილთათვის გახსნან სკოლა როგორც ნაძალადევში ისე ვერაზე 12 ოქტომბრიდან, 2) კრებამ დაავალა კომისიას ხუთი მთხოვნელ მასწავლებელთა შესახებ შეჭკრიბოს ცნობები და მოახსენოს შემდეგ კრებას, 3) ლექტორთა კომისიის მიერ წარდგენილ იქმნ[illegible]სია ლექტორებისა, რომელთაც განუცხადებიათ სურვილი საღამოს კუ[illegible]ებზე ლექციების კითხვისა. ლექტორთა სიაში აღნიშნულნი არიან შემდეგი ლექტორები: ა) ჩ. შარაშიძე, ბ) იტა ნაკაშიძე, გ) პ. საყვარელიძე, დ) მ. ქარუმიძე, ე) ვ. ბურჯანაძე, ვ) მ. წინამძღვრიშვილი, ზ) ი. ქარცივაძე და პ) ლომთათიძე. 4) საღამოს კურსებზე წაკითხულ უნდა იქნეს შემდეგ საგნებზე: ა) საერთაშორისო უფლებაზე, ბ) პოლიტიკურ ეკონომიაზე, გ) ჰიგიენაზე, დ) ისტორია-გეოგრაფიაზე, ე) ფიზიკა, ვ) მსოფლიო ისტორია, ზ) ქართული ლიტერატურა და ჰ) ქართული ისტორია. 5) ექტორთა კომისიას დაევალა მოახდინოს მომავალ სექციის კრებამდის ე. ი. სამშაბათამდის ლექტორთა კრება, რათა გამოარკვიონ ვინ სად ან როდის წაიკითხავს ლექციას. 6) კრებამ დაავალა კომისიას, რომელსაც დავალებული ჰქონდა მომავალ სახ. უნივ. კლუბის შემუშავებული წესდების წარმოდგენა, განსახილველად წარმოდგენილ იქნეს მომავალ სექციის კრებაზე სამშაბათს. 7) კრებამ დაავალა სექციის წევრთ ყოველი ღონე იხმარონ რათა საზოგადო კრებას 4 ამ თვეს დაესწრონ რაც შეიძლება მეტი რიცხვი საზოგადოების წევრებისა და 8) არჩევნები სექციის პრეზიდიუმისა გადაიდო შემდეგ კრებამდის და დაევალა სექციის წევრ[illegible]ეცადნენ მომავალი კრება, რომელიც მოხდება 6 ამ თვეს იქნეს უფრო მეტ რიცხოვანი.

დეპეშები

პარიზი, 7 ოქტომბერი. დღის ცნობა. ღამე არაფერი საყურადღებო არ მომხდარა. ლიგონის რაიონში საფრანგეთის არტილერია ესროდა გერმანთა სანგრებს და ჩააჩუმა მათი ზარბაზნები, ტყვიისმფრქვეველები და ყუმბარა-სროლიები. შამპანში გერმანებმა არა ერთხელ დაუშინეს ფრანგების პ[illegible]ზიციებს ზარბაზნები, მდ. მაასსა და მოზელ შუა, ფლირეს ჩრდილოეთითო.

ლონდონი, 6 ოქტომბერი. თემთა პალატაში დალზიელი შეეკითხა ლოიდ ჯორჯს, მიიღებდა თუ არა იტალეთის ჯარი მონაწილეობას საფრანგეთისა და ინგლისის ჯართან ერთად სერბთა მიშველების საქმეშიო. ლოიდ ჯორჯმა მიკიბ-მოკიბულად უპასუხა, შეთანხმების სახელმწიფონი იმაზედ თათბირობენ, თუ რა სახით შეიძლება იტ[illegible]ეთის საუკეთესოდ გამოყენება სერბეთის საშველად გამართულ კამპანიაშიო.

პარიზი, 6 ოქტომბერი. საღამოს დეპეშა. ლამომელსა და პრონს შუა, ასი თითქმის ათი ვერსის სიგრძეზე გერმანეთის ჯარმა დიდის ძალებით სცადა იერიში მოეტანა ფრანგებზე. ცდამ მათ საზარალოდ ჩაიარა. ეს იერიში დიდ მომზადებით იყო მოწყობილი. იერიშების დროს მოიხმარეს კიდეცა სულთამხუთი ქლორის გაზები. გერმანთა ქვეითი ჯარი სწვდა ფრანგთა სანგრების პირველ ხაზს, მაგრამ უმალვე უკუგდებულ იქმნა. დღისით ფრანგებმა კონტრიერიშების წყალობით გერმანთა მოიერიშე ძალები ერთიანად გარეკეს თავიანთ პოზიციებიდან. გერმანთა ქვეითა ჯ[illegible] ზარალი მოუვიდა. მთელ ფრონტის სიგრძეზე ცხარე საარტილერიო ბრძოლა იყო, რომელმაც განსაკუთრებული სიმკაცრე მიიღო არტუას რაიონში.

ჰავრი, 6 ოქტომბერი. ბელგიის ცნობა. გერმანებმა სასტიკი საარტილერიო ცეცხლი მიუშვეს იზერის არხის აღმოსავლეთ ნაპირზე გამარ[illegible]ულ პოსტს, ასეთივე მკაცრი სროლა აუტეხეს იპრსაც. მაგრამ ბელგებმა ღამით გერმან[illegible]ი უკუაქციეს. ბელგთა ფრონტის სხვა [illegible] სხვა ადგილას ცხარე საარტილერიო ბრძოლა იყო.

რომი, 7 ოქტომბერი. „ჯიორნალე დ'იტალიაი“ მოწინავე წერილში ამბობს: „ამნაირად, ოფიციალად მტკიცდება, რომ ოთხთა კავშირის შუა სრული [illegible] ნამობაა და მათ შორის რაიმე უთანხმოების ჩამოგდება მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფია. იტალია ომის აღარ [illegible] შამპანიაში მიიღებს მონაწილეობას, [illegible] [illegible] ედეგი თავზე დაატყდება ბულგარეთის [illegible]ს, რომელიც მეფისა და მთავრობის უბედური მსხვერპლი შეიქმნა“.

„იდეა ნაციონალე“ სოლუნში ჯარების გადმოსხმის გამო ამბობს: „საბერძნეთს კი არ უნდა ვთხოვოთ ნებართვა, არამედ ვაიძულოთ. ინგლის-საფრანგეთის ჯარებს არ შეუძლიანთ ამოქმედონ იმის და მიხედვით, თუ რა წყალობას გამოიღებს ესა თუ ის მთავრობა მინისტრთა გადაყენებ-გადმოყენებით. საბერძნეთს მით უფრო მეტად ვაიძულებთ, რომ იგი გეოგრაფიულად მთლად ოთხთა კავშირის ხელშია ჩაბოჭილი“.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა.

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.

თბილისიდან გადის:

თელავისა ტ წნორისკენ	8 ს.	58 წ.
გურჯაანში მიდის ნაშუადღევის	3 ს.	53 წ.
გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევის	4 ს.	53 წ.
თელავში მიდის ნაშუადღევის	5 ს.	35 წ.
გურჯაანიდან წნორზე მიდის	4 ს.	18 წ.
წნორზე მიდის	5 ს.	15 წ.

თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისისკენ:

დილის	8 ს.	58 წ.
გურჯაანში მოდის	10 ს.	26 წ.
წნორიდან თბილისისკენ გამოდის დილის	10 ს.	16 წ.
გურჯაანში მიდის	10 ს.	16 წ.
გურჯაანიდან თბილისისკენ გამოდის დილის	10 ს.	46 წ.

თბილისში ჩამოდის 5 საათზე.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3 ბაქოდან	12 ს.	54 წ.	დღ.
№ 4 ბათომიდან	5 ს.	55 წ.	საღ.
№ 5 ბაქოდან (სწრაფი)	7 ს.	41 წ.	საღ.
№ 10 ბათომიდან	9 ს.	51 წ.	[illegible]ილ.
ჯულფიდან	6 ს.	53 წ.	[illegible]ილ.
ბორჯომიდან	7 ს.	25 წ.	დილ.
„ საგარ.	10 ს.	28 წ.	ს[illegible]

თბილისიდან გადის:

№ 3 ბათომისკენ	1 ს.	45 წ.	დღ.
№ 4 ბაქოსკენ	7 ს.	3 წ.	საღ.
№ 6 ბაქოს (სწრაფი)	12 ს.	8 წ.	დღ.
№ 9 ბათომისკენ	8 ს.	53 წ.	საღ.
ჯულფისკენ	10 ს.	23 წ.	საღ.
ბორჯომისკენ	3 ს.	29 წ.	დღ.

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ფურნალ-გაზეთების კანტორა

„განათლება“

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეს მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონტ“, „მშაკი“ და „ხათაბალა“ და იყიდება ახლად გამოცემული წიგნი ა. ალდონისა **„აკაკი და მისი პოეზია“** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი“** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები“**—ბეგლარ ახოსპირელისა, **„კოოპერატივები იტალიაში“**—ნ. ჟორდანიასი და სხვადასხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

კანტორის ადრესი: Ольгинская 6.

თევზის მრეწველნი
ძმ. ალეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფ[illegible] 712.

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ, **მაისაურის-ზვით**“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა,** მცირე მარილიანი, შავი **„მეშოჩნი“** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ელე ქტრომბეჭდავ სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან